თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ბეჟან ჯავახია (თავმჯდომარე), ნინო ქიმერიძე, თამარ ჩოკორაია, ზურაბ ჩხიკვაძე, ანა ბურჯუკური.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ანა ბურჯუკურმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- პროგრამაში არის ტექნიკური ხასიათის უზუსტობა კომპეტენციების ცხრილში. დასკვნის უნარი ზოგად ტრანსფერებში გაწერილია კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისად, თუმცა დარგობრივ ტრანსფერებში არასწორადაა გაწერილი. პროგრამაში მითითებული კომპეტენცია - ხელმძღვანელის მითითებით შეუძლია ქართულის ფილოლოგიის საკითხებთან დაკავშირებული დისციპლინების პირველწყაროების მოპოვება - არ შეეფერება უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს, ეს შეესაბამება პროფესიული განათლების საფეხურს. ექსპერტთა აზრით, ეს უზუსტობა არ შეიძლება ჩაითვალოს პროგრამის მნიშვნელოვან ხარვეზად, რადგან ტექნიკური ხასიათისაა და პროგრამა გადის ბაკალავრიატის კომპეტენციათა შედეგებზე.

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერება, სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი 15 კრედიტისანი უცხო ენა იყოს ინგლისური. აღნიშნული ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას.

- სასურველია, სავალდებულო კურსი „საქმიანი კომუნიკაციების ტექნოლოგიები“ ცალკე საგნად არ იყოს წარმოდგენილი, რადგან ის, ფაქტობრივად, იმეორებს აკადემიური წერის საკითხებს, რაც, ასევე, სავალდებულო საუნივერსიტეტო საგანია. ამის ნაცვლად, უმჯობესი იქნებოდა საუნივერსიტეტო სავალდებულო საგნად დაემატოს ფილოსოფიის შესავალი.

- მიზანშეწონილია, საფაკულტეტო სავალდებულო-არჩევითი შესავალი კურსების სხვაგვარად წარმოდგენა. კერძოდ, უმჯობესია, ისტორიის მეცნიერებაში, ქართველოლოგიაში, გერმანულ ფილოლოგიაში, ინგლისურ ფილოლოგიაში დარგობრივად წარმოდგენილიყო შესავალი კურსები.

- სასურველია, დამატებითი სპეციალობის პროგრამის გარდა, დაწესებულებამ სტუდენტს არჩევითი საგნები შესთავაზოს, რათა დამატებითი სპეციალობის პროგრამას სავალდებულო ხასიათი არ მიენიჭოს.
- უმჯობესია, არჩევითი საგნები სპეციალობაში ცალკე გაიწეროს, რათა არ ჰქონდეს ალტერნატიული შეთავაზების სახე (მაგ.: ა) ბიბლიის ენის საკითხები; ბ) ქართული ზმნის უღლების სისტემა დიაქრონულ ასპექტში). და ამავე დროს გაიზარდოს არჩევითი საგნების რაოდენობა (საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო მასშტაბით). ზოგიერთი საგანი წარმატებით გადავიდოდა ამ კატეგორიაში (მაგ.: ქართული მწერლობა და ქრისტიანული კულტურა).
- სასურველია ცალკეული კურსების გაერთიანება, ზოგიერთი მათგანი ზედმეტად დაწვრილმანებულია დარგობრივად. (მაგალითად, ენის ცალკეული საგნები: წინადადების წევრები და სიტყვათშეთანხმების პრინციპები ქართულში, ქართული წინადადების აღნაგობის ძირითადი პრინციპები).
- მიზანშეწონილია, რომ სილაბუსებში გაიწეროს ლექტორთა საკონსულტაციო საათები.
- სასურველია, უნივერსიტეტში არსებობდეს ელექტრონული ჟურნალი, რაც გაზრდიდა სტუდენტთა ინფორმირებულების ხარისხს.
- სასურველია სახელმძღვანელოების განახლება, სტუდენტებისათვის რიდერების შეთავაზება, თანამედროვე დასავური კვლევების გაცნობა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული რეკომენდაციები განხილულ იქნა ფაკულტეტისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და დაწესებულება სრულიად იზიარებს მოცემულ რეკომენდაციებს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სასწავლო კურსი „საქმიანი კომუნიკაციების ტექნოლოგიები“ უკვე ამოღებულია სასწავლო პროგრამიდან. ამას გარდა, ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელდა შეხვედრები ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან, რის შედეგადაც ადგილზევე მოხდა გაკრვეული რეკომენდაციების გაზიარება.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენელს, ელექტრონული ჟურნალის შემოღებასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ამ ეტაპზე რთულია ამ პროცედურის სწრაფად განხორციელება, თუმცა უნივერსიტეტის, შესაძლებლობის ფარგლებში, იმუშავებს ამ საკითხზე.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

16. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ბეჟან ჯავახია (თავმჯდომარე), ნინო ქიმერიძე, თამარ ჩოკორაია, ზურაბ ჩხიკვაძე, ანა ბუჩუკური.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ანა ბუჩუკურმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, 15 სასწავლო კვირას დაემატოს რამდენიმე კვირა, სადაც დროში გონივრულად იქნება გაშლილი საბოლოო გამოცდისა და განმეორებითი გამოცდის ინტერვალები სასწავლო კვირების დასრულების შემდგომ, რომლებიც ერთიანობაში შეადგენენ სემესტრს.

- პროგრამის მიხედვით „ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი, ძირითადი სპეციალობის (Major) გარდა, ვალდებულია დაეუფლოს დამატებით (Minor) სპეციალობას ფაკულტეტის საზღვრებში“. ექსპერტთა აზრით, სასურველია, სტუდენტს ჰქონდეს საშუალება, Minor პროგრამა აირჩიოს უნივერსიტეტის საზღვრებში.

- პროგრამაში მითითებულია, რომ სტუდენტი ვალდებულია დაეუფლოს დამატებით Minor-ის 60 კრედიტს და აირჩიოს 10 კრედიტი თავისუფალი საუნივერსიტეტო კურსები.“ ექსპერტთა აზრით, სასურველია, რომ სტუდენტს უფლება მიეცეს 70 კრედიტის ფარგლებში აირჩიოს თავისუფალი არჩევითი საუნივერსიტეტო კურსები ან ამ 70 კრედიტიდან გამოყოს 60კრ. Minor-სათვის და 10 კრ. თავისუფალი საუნივერსიტეტო საგნები ან Minor-ს 60 კრედიტის ვერ დაგროვების შემთხვევაში, სტუდენტს უფლება მიეცეს, შეივსოს სხვა საუნივერსიტეტო კურსების კრედიტებით და მთლიანობაში ეს კრედიტები კვალიფიცირდეს, როგორც თავისუფალი არჩევითი საუნივერსიტეტო კურსების კრედიტები.

- საგანმანათლებლო პროგრამაში, სილაბუსში და სასწავლო გეგმაში ერთი და იგივე კურსი ერთი და იმავე სათაურით უნდა იყოს მითითებული.

საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენელს, არის თუ არა სტუდენტი ამჟამად უზრუნველყოფილი მაინორი პროგრამის ნაცვლად თავისუფალი კრედიტების

არჩევის შესაძლებლობით. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, არსებული მდგომარეობა მართლაც ზღუდავდა სტუდენტს არჩევანის თავისუფლებაში, ამიტომაც, უკვე გათვალისწინებულ იქნა ექსპერტთა რეკომენდაცია და მიღებულ იქნა შესაბამისი რეგულაცია უნივერსიტეტში.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

17. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ბექან ჯავახია (თავმჯდომარე), ნინო ქიმერიძე, თამარ ჩოკორაია, ზურაბ ჩხიკვაძე, ანა ბუჩუკური.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ანა ბუჩუკურმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია, ჰუმანიტარული ფაკულტეტის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს ყველა დარგობრივი მიმართულების შესავალი კურსები, რაც ამჟამად არ ფიქსირდება, რათა სტუდენტმა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე არჩევანი შეაჩეროს მისთვის მისაღებ სპეციალობაზე.
- ვინაიდან სტუდენტი პროგრამის მიხედვით პირველივე სემესტრში ირჩევს დარგობრივი ფილოლოგიის კონკრეტული ენის პრაქტიკულ კურსს, ამ შემთხვევაში სტუდენტს შეზღუდული აქვს თავისუფალი არჩევანის საშუალება. თუ პროგრამაში წინმსწრებად ან პარალელურ რეჟიმში სტუდენტი გადის შესავლის კურსს, მისთვის მარტივია შემდგომ ეტაპზე მეტი დამაჯერებლობით მიიღოს გადაწყვეტილება და სასწავლო ეტაპები შეივსოს როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული დისციპლინათა შესაბამისი კურსების სათანადო კომბინაციებით;
- მიზანშეწონილია, უცხო ენის პრაქტიკული კურსის სწავლებისას პროგრამის მონაწილე პირებმა იხელმძღვანელონ უცხოური ენების სწავლების საერთოევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ძირითადი პრინციპებითა და რეკომენდაციებით, რათა სწავლის შედეგები თანხვედრილი იყოს ენობრივი კომპეტენციების საერთოევროპული სტანდარტული დონეებისა, რაც კონკრეტულად ფიგურირებს ენის დონეების სახით საკუთრივ კურიკულუმში (მაგ., ენის პრაქტიკული კურსის დანაწევრება ასპექტებად არ არის მართებული უცხოური ენების სწავლების თანამედროვე მეთოდების მიხედვით), შესაბამისად ცალკეულ სილაბუსში ყოველი პრაქტიკული კურსისათვის დეტალურად გაიწეროს შესატყვისი ინდიკატორების მიხედვით ენობრივი კომპეტენციები ყველა მიმართულებით (წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი).
- მოდულებში წარმოდგენილი ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის კურსები ის სავალდებულო თეორიული საგნებია, რაც სტუდენტს უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე ანიჭებს ფილოლოგიის კვალიფიკაციას, შესაბამისად, სასურველია, რომ წარმოდგენილი იყოს სასპეციალიზაციო ჩამონათვალი სავალდებულო სტატუსის მქონე კურსებად. ამას გარდა, სასურველია მეტი აქცენტი გაკეთდეს თეორიული საგნების სასემინარო ფორმატზე და სემინარს დაეთმოს 2 აკადემიური საათი, რათა სტუდენტმა შეძლოს, პრაქტიკულად განახორციელონ კონკრეტულ საგანში შეძენილი თეორიული ცოდნა.

- სასურველია, თუკი სპეციალობისათვის სავალდებულო საგნების მოცულობა არ გადააჭარბებს 100 კრედიტს და გაფართოვდება არჩევითი საგნების სპექტრი, რისი რესურსიც პროგრამის მონაწილე პერსონალს უდავოდ აქვს. ამით სტუდენტს მიეცემოდა შესაძლებლობა, არჩევითი კრედიტების ფარგლებში შეივსოს ცოდნა, როგორც ენის პრაქტიკული კურსების ისე სპეციალობის თეორიული საგნების ჩამონათვალიდან.

- ფილოლოგიური კომპეტენციების მკვეთრად ჩამოყალიბების მიზნით სასურველია, ფაკულტეტის ფილოლოგიური პროგრამები მკაფიოდ განსაზღვრავდნენ ფილოლოგისათვის სავალდებულო საგანთა ბლოკს. მაგ., წარმოადგენდნენ ლიტერატურის ისტორიის ზოგადდარგობრივი კურსების ჩამონათვალს, რომელთაგანაც თავად სტუდენტი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე შეარჩევდა რომელიმეს. ამავე ბლოკში სასურველი იქნებოდა ასევე თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის კურსის (კონკრეტული ენების გათვალისწინებით) წარმოდგენა, სადაც სტუდენტი სრულყოფდა თარგმნის ტექნიკებსა და დააგროვებდა ცოდნას, სხვადასხვა დარგობრივი ტექსტების თარგმანის პრაქტიკულად შესრულების პროცესში, რაც შესძენდა მას ფართო პროფილს და შემდგომში გაზრდიდა მის კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე.

- მიზანშეწონილია, საფაკულტეტო სასწავლო დისციპლინებიდან *დასავლეთ ევროპული და ამერიკული ლიტერატურის ისტორიის* (10 კრედიტი) კურსს მიენიჭოს არჩევითის სტატუსი. ამ ცვლილების შემთხვევაში პროგრამა გახდებოდა უფრო მოქნილი და სტუდენტს საშუალება მიეცემოდა ფართო არჩევანი გაეკეთებინა სასწავლო პროგრამის დაგეგმვის პროცესში;

- ექსპერტთა აზრით, საუნივერსიტეტო კურსი „*საქმიანი კომუნიკაციები*“, არ არის მიზანშეწონილი, რომ ავსებდეს კურიკულუმის სავალდებულო ნაწილს, ვინაიდან უკანასკნელ ხანებში სასკოლო პროგრამები და საგამოცდო (აბიტური) სისტემა უკვე გულისხმობს საინფორმაციო ტექნოლოგიების ელემენტარული უნარ-ჩვევების ფლობას. გარდა ამისა, უცხო ენების ფილოლოგიების სასწავლო პროგრამების შინაარსი თავისთავად გულისხმობს სასწავლო პროცესში მულტიმედიური საშუალებების ჩართვას, შესაბამისად, ამ ტექნოლოგიებისა და ტექნიკების ათვისება ხდება სასწავლო კურსების სასემინარო და პრაქტიკულ მეცადინეობებზე.

- სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, სასურველია, რომ დამატებითი (minor) პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, შეარჩიონ დამატებითი პროგრამები უნივერსიტეტში მომქმედი სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან (მაგ., *ტურიზმი, ბიზნესი, ჟურნალისტიკა, ისტორია* და სხვ.)

- სასურველია, რომ წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში არსებულმა დამატებითმა პროგრამამ (minor) იმუშაოს ძირითადი პროგრამის (major) თანმხვედრ რეჟიმში.

- სასურველია, სტუდენტს მიეცეს შესაძლებლობა, მინიმუმ 10 კრედიტის ფარგლებში თავისუფალი არჩევანის საფუძველზე შეარჩიოს სასწავლო დისციპლინა მისთვის სასურველი ნებისმიერი სხვა საუნივერსიტეტო პროგრამიდან, რაც პროგრამის ფარდობითად ღიაობის დასტური იქნებოდა ჰორიზონტალური პრინციპით;

- სასურველია, სტუდენტი ინდივიდუალურად ეცნობოდეს საკუთარი აკადემიური მოსწრების შედეგებს ელექტრონული სისტემის მეშვეობით;

- სასურველია, რომ პროგრამის გააქტიურების მიზნით აკადემიურმა პერსონალმა სტუდენტებთან საერთო ძალისხმევით, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურისა და გოეთეს ინსტიტუტის მხარდაჭერით გამოიხატოს დამატებითი რესურსები, რათა მოხერხდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაცია, რაც თავის მხრივ გულისხმობს სტუდენტთა ჩართულობას გაცვლით პროგრამებში, კონტაქტს გერმანულენოვან უნივერსიტეტთან უცხოური გამოცდილების გაზიარების მიზნით, უცხოელი კოლეგების ჩართვას სასწავლო პროცესში სტუდენტთა ენობრივი და დარგობრივი კომპეტენციების გაზრდის მიზნით;

- სასურველი იქნებოდა, თუ გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტისათვის გერმანული აკადემიური და საგრანტო ფონდების, პარტნიორი უნივერსიტეტებისა და საუნივერსიტეტო კოოპერაციის საფუძველზე გამოინახებოდა დამატებითი მატერიალური რესურსი, რათა მოეწყოს მულტიმედიითა და სხვა ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი სასწავლო კაბინეტი, რომლის მეშვეობით განახლდებოდა უცხოური ენების პრაქტიკული კურსების სასწავლო ფორმატი;

- სასურველია, რომ დარგობრივი ბიბლიოთეკის ფონდი სემესტრულად შეივსოს ცალკეული დისციპლინების რიდერებით, რომელიც გულისხმობს იმ სასწავლო თუ სამეცნიერო მასალებს, რაც

ინახება დეპარტამენტის პროფესურის პირად ბიბლიოთეკებში და მნიშვნელოვანია ცალკეული დარგობრივი კომპეტენციის სრულყოფისათვის. კონკრეტული საგნობრივი რიდერი უნდა შეივსოს, განახლდეს და წარმოდგენილ იქნას საგნის გამოცხადებისთანავე დეპარტამენტის სემესტრულ აპარატში, რაც თავის მხრივ, ხელმისაწვდომი იქნება თითოეული სტუდენტისათვის.

საბჭოს თავმჯდომარეს შევითხვით მიმართა ექსპერტს, თუ რა იგულისხმება დამატებითი რესურსის გამონახვაში. აკრედიტაციის ექსპერტის განმარტებით, გერმანული დონორი ორგანიზაციები ახორციელებენ რეგიონალური მხარდაჭერის პროგრამებს, თუმცა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი არ არის ჩართული დონორებთან კონტაქტებში, შესაბამისად, არ ხდება აკადემიური კავშირის დამყარება გერმანულენოვან საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინების შემთხვევაში ერთდროულად გადაიჭრება რამდენიმე პრობლემა, კერძოდ, მოხდება უცხოელი ლექტორების მოწვევა, მოხდება ბიბლიოთეკის შევსება ანუ განახლდება მატერიალური ბაზა და სხვა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, უნივერსიტეტი სრულად იზიარებს და ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

18. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ბეჟან ჯავახია (თავმჯდომარე), ნინო ქიმერიძე, თამარ ჩოკორაია, ზურაბ ჩხიკვაძე, ანა ბუჩუკური.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ანა ბუჩუკურმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია, ჰუმანიტარული ფაკულტეტის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს ყველა დარგობრივი მიმართულების შესავალი კურსები, რათა სტუდენტმა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე არჩევანი შეაჩეროს მისთვის მისაღებ სპეციალობაზე.

- ვინაიდან სტუდენტი პროგრამის მიხედვით პირველივე სემესტრში ირჩევს დარგობრივი ფილოლოგიის კონკრეტული ენის პრაქტიკულ კურსს, ცალსახად ამ შემთხვევაში სტუდენტს შეზღუდული აქვს თავისუფალი არჩევანის საშუალება. თუ პროგრამაში წინმსწრებად ან პარალელურ რეჟიმში სტუდენტი გადის შესავლის კურსს, მისთვის მარტივია შემდგომ ეტაპზე მეტი დამაჯერებლობით მიიღოს გადაწყვეტილება და სასწავლო ეტაპები შეივსოს როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული დისციპლინათა შესაბამისი კურსების სათანადო კომბინაციებით;

- სასურველია, უცხო ენის პრაქტიკული კურსის სწავლებისას პროგრამის მონაწილე პირებმა იხელმძღვანელონ უცხოური ენების სწავლების საერთოევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ძირითადი პრინციპებითა და რეკომენდაციებით, რათა სწავლის შედეგები თანხვედრილი იყოს ენობრივი კომპეტენციების საერთოევროპული სტანდარტული დონეებისა, რაც კონკრეტულად ფიგურირებს ენის დონეების სახით საკუთრივ კურიკულუმში (მაგ., ენის პრაქტიკული კურსის დანაწევრება ასპექტებად არ არის მართებული უცხოური ენების სწავლების თანამედროვე მეთოდების მიხედვით), შესაბამისად ცალკეულ სილაბუსში ყოველი პრაქტიკული კურსისათვის დეტალურად გაიწეროს შესატყვისი ინდიკატორების მიხედვით ენობრივი კომპეტენციები ყველა მიმართულებით (წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი).

- მოდულებში წარმოდგენილი ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის კურსები ის სავალდებულო თეორიული საგნებია, რაც სტუდენტს უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე ანიჭებს ფილოლოგიის კვალიფიკაციას, შესაბამისად, ისინი უნდა იყვნენ სასპეციალიზაციო ჩამონათვალის სავალდებულო სტატუსის მქონე კურსები. ამას გარდა, სასურველია, მეტი აქცენტი

გაკეთდეს თეორიული საგნების სასემინარო ფორმატზე და სემინარს დაეთმოს 2 აკადემიური საათი, რათა სტუდენტმა შესძლოს პრაქტიკულად განახორციელოს კონკრეტულ საგანში შეძენილი თეორიული ცოდნა.

- სასურველია, სპეციალობისათვის სავალდებულო საგნების მოცულობამ არ გადააჭარბოს 100 კრედიტს და გაფართოვდეს არჩევითი საგნების სპექტრი, რისი რესურსიც პროგრამის მონაწილე პერსონალს უდავოდ აქვს, რათა სტუდენტს მიეცეს შესაძლებლობა არჩევითი კრედიტების ფარგლებში შეივსოს ცოდნა როგორც ენის პრაქტიკული კურსების ისე სპეციალობის თეორიული საგნების ჩამონათვალიდან.

- ფილოლოგიური კომპეტენციების მკვეთრად ჩამოყალიბების მიზნით სასურველია, ფაკულტეტის ფილოლოგიური პროგრამები მკაფიოდ განსაზღვრავდნენ ფილოლოგისათვის სავალდებულო საგანთა ბლოკს (მაგ., წარმოდგენდნენ ლიტერატურის ისტორიის ზოგადდარგობრივი კურსების ჩამონათვალს, რომელთაგანაც თავად სტუდენტი გამომდინარე საკუთარი ინტერესებიდან შეარჩევდა რომელიმეს. ამავე ბლოკში სასურველი იქნებოდა ასევე თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის კურსის (კონკრეტული ენების გათვალისწინებით) წარმოდგენა, სადაც სტუდენტი სრულყოფდა თარგმნის ტექნიკებსა და დააგროვებდა ცოდნას, სხვადასხვა დარგობრივი ტექსტების თარგმანის პრაქტიკულად შესრულების პროცესში, რაც შესძენდა მას ფართო პროფილს და შემდგომში გაზრდიდა მის კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე).

- მიზანშეწონილია, საფაკულტეტო სასწავლო დისციპლინებიდან *დასავლეთ ევროპული და ამერიკული ლიტერატურის ისტორიის* (10 კრედიტი) კურსს მიენიჭოს არჩევითის სტატუსი. ამ ცვლილების შემთხვევაში პროგრამა გახდებოდა უფრო მოქნილი და სტუდენტს საშუალება მიეცემოდა ფართო არჩევანი გაეკეთებინა სასწავლო პროგრამის დაგეგმვის პროცესში;

- ექსპერტთა აზრით, საუნივერსიტეტო კურსი „*საქმიანი კომუნიკაციები*“, არ არის მიზანშეწონილი, რომ ავსებდეს კურიკულუმის სავალდებულო ნაწილს, ვინაიდან უკანასკნელ ხანებში სასკოლო პროგრამები და საგამოცდო (აბიტური) სისტემა უკვე გულისხმობს საინფორმაციო ტექნოლოგიების ელემენტარული უნარ-ჩვევების ფლობას. გარდა ამისა, უცხო ენების ფილოლოგიების სასწავლო პროგრამების შინაარსი თავისთავად გულისხმობს სასწავლო პროცესში მულტიმედიაური საშუალებების ჩართვას, შესაბამისად, ამ ტექნოლოგიებისა და ტექნიკების ათვისება ხდება სასწავლო კურსების სასემინარო და პრაქტიკულ მეცადინეობებზე.

- სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, სასურველია, რომ დამატებითი (minor) პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, შეარჩიონ დამატებითი პროგრამები უნივერსიტეტში მომქმედი სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან (მაგ., *ტურიზმი, ბიზნესის, ჟურნალისტიკა, ისტორია* და სხვ.)

- სასურველია, რომ წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში არსებულმა დამატებითმა პროგრამამ (minor) იმუშაოს ძირითადი პროგრამის (major) თანმხვედრ რეჟიმში.

- სასურველია, სტუდენტს მიეცეს შესაძლებლობა, მინიმუმ 10 კრედიტის ფარგლებში თავისუფალი არჩევანის საფუძველზე შეარჩიოს სასწავლო დისციპლინა მისთვის სასურველი ნებისმიერი სხვა საუნივერსიტეტო პროგრამიდან, რაც პროგრამის ფარდობითად ღიაობის დასტური იქნებოდა ჰორიზონტალური პრინციპით;

- სასურველია, სტუდენტი ინდივიდუალურად ეცნობოდეს საკუთარი აკადემიური მოსწრების შედეგებს ელექტრონული სისტემის მეშვეობით;

- სასურველია, რომ პროგრამის გააქტიურების მიზნით აკადემიურმა პერსონალმა სტუდენტებთან საერთო ძალისხმევით, დიუმას ცენტრის მხარდაჭერით გამოიხატოს დამატებითი რესურსები, რათა მოხერხდეს საკუთრივ პროგრამის ინტერნაციონალიზაცია, რაც თავის მხრივ გულისხმობს სტუდენტთა ჩართულობას გაცვლით პროგრამებში, კონტაქტს ფრანგულენოვან უნივერსიტეტთან უცხოური გამოცდილების გაზიარების მიზნით, უცხოელი კოლეგების ჩართვას სასწავლო პროცესში სტუდენტთა ენობრივი და დარგობრივი კომპეტენციების გაზრდისათვის;

- სასურველი იქნებოდა, თუ ფრანგული ფილოლოგიის დეპარტამენტისათვის ფრანგული აკადემიური და საგრანტო ფონდების, პარტნიორი უნივერსიტეტებისა და საუნივერსიტეტო კოოპერაციის საფუძველზე გამოინახებოდა დამატებითი მატერიალური რესურსი, რათა მოეწყო

მულტიმედია და სხვა ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი სასწავლო კაბინეტი, რომლის მემვეობით განახლდებოდა უცხოური ენების პრაქტიკული კურსების სასწავლო ფორმატი;

- სასურველია, რომ დარგობრივი ბიბლიოთეკის ფონდი სემესტრულად შეივსოს ცალკეული დისციპლინების რიდერებით, რომელიც გულისხმობს იმ სასწავლო თუ სამეცნიერო მასალებს, რაც იწახება დეპარტამენტის პროფესორის პირად ბიბლიოთეკებში და მნიშვნელოვანია ცალკეული დარგობრივი კომპეტენციის სრულყოფისათვის. კონკრეტული საგნობრივი რიდერი შეივსება, განახლდება და წარმოდგენილი იქნება საგნის გამოცხადებისთანავე დეპარტამენტის სემესტრულ აპარატში და თავის მხრივ, ხელმისაწვდომი იქნება თითოეული სტუდენტისათვის.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, უნივერსიტეტი სრულად იზიარებს და ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის მიენიჭოს აკრედიტაცია.

19. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ბექან ჯავახია (თავმჯდომარე), ნინო ქიმერიძე, თამარ ჩოკორაია, ზურაბ ჩხიკვაძე, ანა ბურჯუკური.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ანა ბურჯუკურმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- უმჯობესია, არჩევითი საგნები სპეციალობაში ცალკე გაიწეროს, რათა არ ჰქონდეს ალტერნატიული შეთავაზების სახე.

- სასურველია ცალკეული კურსების გაერთიანება, ზოგიერთი მათგანი ზედმეტად დაწვრილმანებულია დარგობრივად, კერძოდ, - 1. ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია; 2. შედარებითი მითოლოგია; აგრეთვე; 1. ქრისტიანული კულტურა და ქართული ლიტერატურა; 2. ქართული მწერლობის სახისმეტყველების საკითხები. ეს კურსები, ფაქტობრივად, იმეორებს ერთმანეთს.

საბჭოს წევრებმა დასვეს შეკითხვა, თუ რატომ იმეორებს შედარებითი მითოლოგია ქრისტიანული კულტურის საკითხებს. აკრედიტაციის ექსპერტის განმარტებით, ამ შემთხვევაში საუბარია აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსებზე, კერძოდ, განსხვავებული სახელწოდების სასწავლო დისციპლინების სილაბუსში რამდენიმე საკითხი მეორდება.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ სასწავლო კურსების სახელწოდებებიდან გამომდინარე, საკითხებიც განსხვავებული უნდა იყოს. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ამ პროგრამის ხელმძღვანელი დაეთანხმა ექსპერტთა აღნიშნულ რეკომენდაციებს და იგი გათვალისწინებული იქნება.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის დამატებითი პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის დამატებით პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

20. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენა და ლიტერატურის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ბექან ჯავახია (თავმჯდომარე), ნინო ქიმერიძე, თამარ ჩოკორაია, ზურაბ ჩხიკვაძე, ანა ბუჩუკური.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ანა ბუჩუკურმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- პროგრამაში არის ტექნიკური ხასიათის უზუსტობა - კომპეტენციების ცხრილში. დასკვნის უნარი ზოგად ტრანსფერებში გაწერილია კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისად, თუმცა დარგობრივ ტრანსფერებში არასწორადაა გაწერილი. პროგრამაში მითითებული კომპეტენცია - ხელმძღვანელის უშუალო დახმარებით ახალი რუსულენოვანი ინფორმაციის მოძიება - შეესაბამება პროფესიული განათლების საფეხურს. ექსპერტთა აზრით, ეს უზუსტობა არ შეიძლება ჩაითვალოს პროგრამის მნიშვნელოვან ხარვეზად, რადგან ტექნიკური ხასიათისაა და პროგრამა გადის ბაკალავრიატის კომპეტენციათა შედეგებზე.
- უმჯობესი იქნებოდა, არჩევითი საგნები სპეციალობაში ცალკე გაიწეროს, რათა არ ჰქონდეს ალტერნატიული შეთავაზების სახე (მაგ: რუსული ზეპირსიტყვიერება და ძველი რუსული ლიტერატურის ძეგლები).
- სასურველია ცალკეული კურსების გაერთიანება, ვინაიდან ზოგიერთი მათგანი ზედმეტად დაწვრილმანებულია დარგობრივად (მაგალითად, 1.ფონეტიკა. სიტყვის წარმოება, 2. რუსული მორფოლოგია, 3.რუსული წინადადების სტრუქტურა და ტიპები).
- მიზანშეწონილია, სილაბუსებში გაიწეროს საკონსულტაციო საათები.
- სასურველია უნივერსიტეტში არსებობდეს ელექტრონული ჟურნალი, რაც გაზრდიდა სტუდენტთა ინფორმირებულების ხარისხს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა ექსპერტს არჩევით საგნებთან დაკავშირებით. ექსპერტის განმარტებით, სასურველია იყო არჩევითი საგნების გამრავალფეროვნება, რათა სტუდენტს ჰქონდეს არჩევანის მეტი შესაძლებლობა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, უნივერსიტეტი სრულად იზიარებს და ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენა და ლიტერატურის დამატებითი პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენა და ლიტერატურის დამატებით პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

21. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დანტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ბექან ჯავახია (თავმჯდომარე), ნინო ქიმერიძე, თამარ ჩოკორაია, ზურაბ ჩხიკვაძე, ანა ბურჯუკური.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ანა ბურჯუკურმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

22. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტილისტ-კორექტორის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ბეჟან ჯავახია (თავმჯდომარე), ნინო ქიმერიძე, თამარ ჩოკორაია, ზურაბ ჩხიკვაძე, ანა ბუჩქუკური.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ანა ბუჩქუკურმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულია შენიშვნა:

აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნით, პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა ცალკეულ შემთხვევაში დარღვეულია, რადგან გარკვეული საგნები იმეორებს ერთმანეთს. ზოგიერთი მათგანი ზედმეტად დაწვრილმანებულია დარგობრივად და, ფაქტობრივად, ერთსა და იმავე საკითხებს იმეორებს. მაგალითად, გაუმართლებელია პუნქტუაციის ცალკე საგნად წარმოდგენა; სილაბუსებში საკითხების გამეორებაა შემდეგ საგნებში: 1) ქართული სალიტერატურო ენის ნორმები და ცოცხალი მეტყველება; 2) მართლწერა და მართლმეტყველების საკითხები; ხოლო ქართული სამწიგნობრო ხელოვნების საკითხები და ქართული დამწერლობათმცოდნეობის საკითხების ალტერნატიულ არჩევით საგნებად შეთავაზება გაუმართლებელია, რადგან ორივე მათგანი რეალურად ქართული პალეოგრაფიის კურსია.

ცენტრის წარმომადგენლის თქმით, აღნიშნული შენიშვნა არღვევს აკრედიტაციის სტანდარტს, კერძოდ - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.

აკრედიტაციის ექსპერტის განმარტებით, მოცემულ დამატებით პროგრამაში ზედმეტი საგნები იყო თავმოყრილი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის თქმით, ამ ეტაპზე შენიშვნა გამოსწორებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭო გადაწყვეტილების მიღებისას შეზღუდულია ექსპერტთა ვიზიტის დროს დაფიქსირებული შენიშვნით. ვინაიდან პროგრამის სხვადასხვა სასწავლო კომპონენტებში ერთნაირი საკითხებია წარმოჩენილი, პროგრამის კომპონენტების თანმიმდევრობა არ შეიძლება ჩაითვალოს ლოგიკურად, რითაც ვერ სრულდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ მე-14 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი პირობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტილისტ-კორექტორის დამატებითი პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტილისტ-კორექტორის დამატებით პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

23. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტუროლოგიის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დანტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ბექან ჯავახია (თავმჯდომარე), ნინო ქიმერიძე, თამარ ჩოკორაია, ზურაბ ჩხიკვაძე, ანა ბუჩუკური.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ანა ბუჩუკურმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- პროგრამაში არის ტექნიკური ხასიათის უზუსტობა კომპეტენციების ცხრილში. კომპეტენციების უნარი ზოგად ტრანსფერებში გაწერილია კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისად, თუმცა დარგობრივ ტრანსფერებში არასწორადაა გაწერილი. პროგრამაში მითითებული - ხელმძღვანელის დახმარებით შეუძლია ზეპირი და წერილობითი ინფორმაციების მომზადება კულტუროლოგიის სხვადასხვა ასპექტების შესაბამისად - არ შეეფერება უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს, ეს შეესაბამება პროფესიული განათლების საფეხურს. მსგავსი უზუსტობაა დაშვებული სწავლის უნარის კომპეტენციაში. ექსპერტთა აზრით, ეს უზუსტობა არ შეიძლება ჩაითვალოს პროგრამის მნიშვნელოვან ხარვეზად.

- ექსპერტთა აზრით, პროგრამის დასახელება „კულტუროლოგია“ არ არის გამართული, რადგანაც შედეგების მიხედვით პროგრამა შეესაბამება კულტურის კვლევებს. რადგანაც დამატებითი პროგრამა არ ანიჭებს კვალიფიკაციას და პროგრამის დასახელება არის გაურკვეველი, მიზანშეწონილია, პროგრამა „კულტურის კვლევების“ დასახელებით იყოს წარმოდგენილი, მით უფრო, რომ კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოში არსებობს სპეციალობა ასეთი დასახელებით.

- ექსპერტთა აზრით, პროგრამა ხელოვნურად არის დაყოფილი მოდულებად, მით უფრო, რომ ასეთი დაყოფა არაფერს ცვლის პროგრამაში. პროგრამაში არსებული ზოგიერთი საგანი ასევე არ შეესაბამება კულტურის კვლევებს (შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში), უმჯობესი იქნება, თუკი მეტი ყურადღება იქნება გამახვილებული თანამედროვე კვლევებზე, კერძოდ, გლობალიზაციის პროცესის კულტურულ ასპექტებზე, ასევე ისეთ ტერმინებზე და ცნებებზე, როგორებიცაა სტერეოტიპი, კულტურული შოკი, სუბკულტურა, კონტრკულტურა, კულტურათაშორისი კომუნიკაციები, კულტურა და ბუნება და ა.შ.

- მიზანშეწონილია, სილაბუსებში მითითებული სახელმძღვანელოები და სხვა ლიტერატურა უფრო მეტად იქნას მოყვანილი შესაბამისობაში თანამედროვე დასავლური კვლევების შედეგებთან, ასევე უფრო მეტად მოხდეს ორიენტირება უახლესი პერიოდის გამოცემების ლიტერატურაზე;

- ექსპერტთა აზრით, სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის შეზღუდვა პროგრამაზე 15 სტუდენტით, არ არის გამართლებული. ფაკულტეტზე ყველა ძირითადი პროგრამა იძლევა მაინორის არჩევის საშუალებას, ამდენად ამ პროგრამაზე, რომელიც არ მოითხოვს რაიმე განსაკუთრებულ პირობებს სწავლისათვის, მსგავსი შეზღუდვისათვის რაიმე აუცილებლობას არ არსებობს.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, უნივერსიტეტი სრულად იზიარებს და ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტუროლოგიის დამატებითი პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტუროლოგიის დამატებით პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

24. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დანტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ზაზა რუხაძე (თავმჯდომარე), დავით ბოსტოლანაშვილი, კონსტანტინე ჩოკორაია.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში უცხოენოვანი კომპონენტის (განსაკუთრებით ინგლისური ენა), ასევე აკადემიური წერის ელემენტების გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს უცხოენაზე სპეციალისტებთან იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარის განვითარებას.
- სასურველია გაძლიერდეს ისეთი სპეცკურსები, რომლებიც მიმართული იქნება პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისკენ; სასურველია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული იქნეს ასევე სამართლებრივი წერა, საპროცესო უნარ-ჩვევები და სამართლებრივი ეთიკა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, უნივერსიტეტში მოქმედებს წესი, რომლის მიხედვითაც 18 კრედიტი ეთმობა უცხოენოვან კომპონენტს. რაც შეეხება აკადემიურ წერას, პროგრამაში გათვალისწინებულია ეს კურსი 3 კრედიტის მოცულობით.

ექსპერტის განმარტებით, აკადემიური წერა და სამართლებრივი წერა განსხვავებული შინაარსის მატარებელია. აკადემიური წერა კონკრეტულ სპეციალობაში უნდა იკითხებოდეს შესაბამისი დარგის სპეციალისტის და არა ქართული ფილოლოგიის სპეციალისტის მიერ. ამ შემთხვევაში, უნივერსიტეტში ისწავლება აკადემიური წერა, რომელიც არ არის სამართლებრივი წერის ელემენტების მატარებელი და სწორედ ამას შეეხებოდა აკრედიტაციის ექსპერტების აღნიშნული რეკომენდაცია.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის თქმით, აღნიშნული რეკომენდაცია გასათვალისწინებელია და მოხდება პროგრამის შესაბამისი კორექტირება.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

25. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ბექან ჯავახია (თავმჯდომარე), ნინო ქიმერიძე, თამარ ჩოკორაია, ეკატერინე გიგაშვილი, ანა ბუჩუკური.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ანა ბუჩუკურმა. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- ისტორიის პროგრამაზე სტუდენტი პირველი კურსის პირველსავე სემესტრში ერთვება, რაც თავისუფალი არჩევანის გაკეთების ნაკლებ საშუალებას იძლევა, ამდენად, უმჯობესია სპეციალობისათვის სავალდებულო საგნები დაიწყოს ერთი სემესტრით გვიან მაინც, როდესაც სტუდენტებს მოსმენილი ექნებათ საფაკულტეტო შესავლის საგნები; მით უფრო, რომ პირველი სემესტრის სტუდენტს არ ეძლევა საშუალება, თავისუფლად აირჩიოს სასწავლო კურსი.
- საგნების არჩევითობის პრინციპი არის ალტერნატიული სახით წარმოდგენილი - მაგალითად ბიზანტიის ისტორია ან თანამედროვე თურქეთის ისტორია; რელიგიის ისტორია ან ქართული ეკლესიის ისტორია (უმჯობესია საქართველოს ეკლესიის ისტორია). უმჯობესი იქნებოდა, არსებობდეს უფრო მეტი არჩევანის თავისუფლება.
- მიზანშეწონილია, საფაკულტეტო საგნებში წარმოდგენილი იყოს ფაკულტეტზე არსებული ძირითადი სპეციალობების შესავალი კურსები, რაც მისცემდა სტუდენტს უფრო მეტ საშუალებას, გაერკვეს მომალავ სპეციალობაში. ეს კურსები, გარდა სავალდებულო შესავალი საგნების კურსებისა, შეიძლება იყოს არჩევითი, რაც ასევე უფრო მობილურს გახდიდა პროგრამას.
- საფაკულტეტო სავალდებულო საგნებში წარმოდგენილი საგნების - კულტურის ისტორია და საინფორმაციო ტექნოლოგიები - სავალდებულო სახით წარმოდგენის აუცილებლობა არ ჩანს. მით უფრო წარმოდგენილი სილაბუსები ძალიან ზოგად წარმოდგენებს იძლევიან. ექსპერტთა მიერ რეკომენდირებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების დახვეწაზე მეტი ყურადღება იქნეს გამახვილებული საგნების სწავლების დროს, სადაც უფრო დიდი ადგილი უკავია კომუნიკაციებსა და პრეზენტაციებს თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაყრდნობით.
- მიზანშეწონილია, სასემინარო მუშაობა უფრო მეტად იყოს მიმართული საისტორიო წყაროზე.
- უმჯობესი იქნება, თუკი შემცირდება სავალდებულო საგნების რიცხვი, რომელიც წარმოდგენილია სპეციალობაში 110 კრედიტის ოდენობით, ასეთ შემთხვევაში გაიზრდებოდა არჩევითი საგნების არსებობის შესაძლებლობა.
- მიზანშეწონილია, სტუდენტს დარჩეს გარკვეული რაოდენობის თავისუფალი კრედიტი ნებისმიერი სხვა პროგრამიდან თავისუფალი არჩევის განსახორციელებლად (იგულისხმება ძირითადი და მაინორის პროგრამების გარეშე).

- ზოგიერთი საგნის სილაბუსი მოითხოვს ცვლილებას, კერძოდ, თანამედროვე სამეცნიერო კვლევების შედეგების გათვალისწინებით სასწავლო ლიტერატურის განახლებას.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაციების იმპლემენტაცია პროგრამაში. ხელს შეუწყობს პროგრამის სრულყოფას. ამასთან, ექსპერტთა დასკვნაში არის რიგი საკითხები, რომელიც შესაძლებელია გახდეს დისკუსიის საგანი, კერძოდ პროგრამაში დიდი დოზით არჩევითობის კომპონენტის გათვალისწინებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოთხოვნა პროგრამაზე საშუალოდ 20 სტუდენტია კონკრეტულ სპეციალობაზე, ამ შემთხვევაში რთულია ფართო არჩევითობის უზრუნველყოფა. პროგრამაში არჩევითი კომპონენტი შეადგენს 240-დან 80 კრედიტის ოდენობას, 20 კრედიტი სპეციალობის, ხოლო 60 კრედიტი მაინორის, თავისუფალი ან მასწავლებლის მომზადების პროგრამის კომპონენტებიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ სპეციალობის დისციპლინების პირველ წელს სწავლება განპირობებულია პროგრამაზე ჩარიცხვისათვის შესატყვისი კომპეტენციების მქონე სტუდენტების მიღების აუცილებლობით ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე არსებული სტუდენტების საერთო ქვოტიდან. დაწესებულების პრიორიტეტი არის შესაბამის დარგში სწავლის უნარის მქონე სტუდენტების კატეგორიის დადგენა, რისთვისაც საფაკულტეტო სწავლების დროს შესაბამისი პროგრამის კურსები ისწავლება.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ არ შეიძლება უნივერსიტეტმა პრიორიტეტი სტუდენტების რაოდენობაზე გააკეთოს, სწავლების ხარისხის გაუარესების კუთხით, ვინაიდან არჩევითობის უზრუნველყოფა აკადემიური პროგრამის ერთ-ერთი მახასიათებელია და მხარი დაუჭირა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

26. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ბექან ჯავახია (თავმჯდომარე), ნინო ქიმერიძე, თამარ ჩოკორაია, ეკატერინე გიგაშვილი, ანა ბუჩუკური.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ანა ბუჩუკურმა. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- ფილოსოფიის პროგრამაზე სტუდენტი პირველი კურსის პირველსავე სემესტრში ერთვება, შესაბამისად, თავისუფალი არჩევანის ნაკლებ საშუალება იძლევა, ამდენად, უმჯობესია, სპეციალობისათვის სავალდებულო საგნები დაიწყოს ერთი სემესტრით გვიან მაინც, როდესაც სტუდენტებს მოსმენილი ექნებათ საფაკულტეტო შესავლის საგნები; მით უფრო პირველი სემესტრის სტუდენტს არ ეძლევა არცერთი სასწავლო საგნის თავისუფლად არჩევის საშუალება;
- პროგრამაში საფაკულტეტო საგნად წარმოდგენილია ფსიქოლოგია და ასევე, სპეციალობის სავალდებულო საგანი - ზოგადი ფსიქოლოგია. ეს საგნები განსხვავებული კრედიტებით არის წარმოდგენილი, მაგრამ ძირითადად მაინც გადაფარავს ერთმანეთს;
- მიზანშეწონილია, რომ სასწავლო კურსი - ძველი აღმოსავლეთის ისტორია არ იყოს სავალდებულო და კომპეტენციისათვის აუცილებელი საგანი;
- საფაკულტეტო სავალდებულო საგნებში წარმოდგენილი საგნების - კულტურის ისტორიის და საინფორმაციო ტექნოლოგიების სავალდებულო სახით წარმოდგენის აუცილებლობა არ არსებობს. მით უფრო აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსები ძალიან ზოგად წარმოდგენებს იძლევიან. რეკომენდირებულია, საინფორმაციო ტექნოლოგიების დახვეწაზე მეტი ყურადღება გამახვილდეს საგნების სწავლების დროს, სადაც დიდი ადგილი უკავია კომუნიკაციებს და პრეზენტაციებს ტექნოლოგიებზე დაყრდნობით.
- უმჯობესი იქნება, თუკი შემცირდება სავალდებულო საგნების რიცხვი, რომელიც სპეციალობაში წარმოდგენილია 115 კრედიტის ოდენობით, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა არჩევითი საგნების რაოდენობის გაზრდა.
- მიზანშეწონილია, დარჩეს გარკვეული რაოდენობის თავისუფალი კრედიტი სტუდენტს, ნებისმიერი სხვა პროგრამიდან თავისუფალი არჩევის განსახორციელებლად (იგულისხმება ძირითადი და მაინორის პროგრამების გარეშე).
- ზოგიერთი საგნის სილაბუსი მოითხოვს განახლებას, კერძოდ, თანამედროვე სასწავლო ლიტერატურისა და თანამედროვე სამეცნიერო კვლევების შედეგების გათვალისწინებას.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტი აერთიანებს 5 მიმართულების პროგრამებს, სტუდენტები ხვდებიან ერთ შესასწავლ ბლოკში და შესაბამისად ერთნაირი დისციპლინების შესწავლა უწევთ. ამაზე უნივერსიტეტში არის მსჯელობა და ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, წარმართება მუშაობა განსხვავებულ სასწავლო დისციპლინების შეთავაზების თაობაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ სპეციალობის დისციპლინების პირველ წელს სწავლება განპირობებულია პროგრამაზე ჩარიცხვისათვის შესატყვისი კომპეტენციების მქონე სტუდენტების მიღების აუცილებლობით ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე არსებული სტუდენტების საერთო ქვოტიდან. დაწესებულების პრიორიტეტი არის შესაბამის დარგში სწავლის უნარის მქონე სტუდენტების კატეგორიის დადგენა, რისთვისაც საფაკულტეტო სწავლების დროს შესაბამისი პროგრამის კურსები ისწავლება.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

27. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ბექან ჯავახია (თავმჯდომარე), ნინო ქიმერიძე, თამარ ჩოკორაია, ეკატერინე გიგაშვილი, ანა ბუჩუკური.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ანა ბუჩუკურმა. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია, ჰუმანიტარული ფაკულტეტის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს ყველა დარგობრივი მიმართულების შესავალი კურსები, რათა სტუდენტმა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე არჩევანი შეაჩეროს მისთვის მისაღებ სპეციალობაზე;
- ვინაიდან სტუდენტი პროგრამის მიხედვით პირველივე სემესტრში ირჩევს დარგობრივი ფილოლოგიის კონკრეტული ენის პრაქტიკულ კურსს, ცალსახად ამ შემთხვევაში სტუდენტს შეზღუდული აქვს თავისუფალი არჩევანის საშუალება. თუ პროგრამაში წინმსწრებად სტუდენტი გადის შესავალის კურსს, მისთვის მარტივია შემდგომ ეტაპზე მეტი დამაჯერებლობით მიიღოს გადაწყვეტილება და სასწავლო ეტაპები შეივსოს როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული დისციპლინათა შესაბამისი კურსების სათანადო კომბინაციებით;
- ფილოლოგიური კომპეტენციების მკვეთრად ჩამოყალიბების მიზნით სასურველი იქნებოდა, თუ ფაკულტეტის ფილოლოგიური პროგრამები მკაფიოდ განსაზღვრავდნენ ფილოლოგიისათვის სავალდებულო საგანთა ბლოკს (მაგ., წარმოდგენდნენ ლიტერატურის ისტორიის ზოგადდარგობრივი კურსების ჩამონათვალს, რომელთაგანაც თავად სტუდენტი გამომდინარე საკუთარი ინტერესებიდან შეარჩევდა რომელიმეს. ამავე ბლოკში სასურველი იქნებოდა ასევე თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის კურსების (კონკრეტული ენების გათვალისწინებით) წარმოდგენა და ა.შ.);
- მიზანშეწონილია საფაკულტეტო სასწავლო დისციპლინებიდან *დასავლეთ ევროპული და ამერიკული ლიტერატურის ისტორიის* (10 კრედიტი) კურსს მიენიჭოს არჩევითის სტატუსი და იგი ჩაჯდეს ფილოლოგიის კომპეტენციისათვის სავალდებულო დისციპლინათა ბლოკში. ამ ცვლილების შემთხვევაში პროგრამა გახდებოდა უფრო მოქნილი და სტუდენტს საშუალება მიეცემოდა ფართო არჩევანი გაეკეთებინა სასწავლო პროგრამის დაგეგმვის პროცესში;
- ასევე სასურველია, საუნივერსიტეტო კურსი, რომელიც *საინფორმაციო ტექნოლოგიების* შესწავლას ითვალისწინებს, არ შემოიფარგლოს აუცილებელი და ელემენტარული სასწავლო თემებით და შეივსოს სათანადო მასალით, ვინაიდან უკანასკნელ ხანებში სასკოლო პროგრამები და საგამოცდო (აბიტური) სისტემა უკვე გულისხმობს საინფორმაციო ტექნოლოგიების ელემენტარული უნარ-

ჩვევების ფლობას. გარდა ამისა უცხო ენების ფილოლოგიების სასწავლო პროგრამების შინაარსი თავისთავად გულისხმობს სასწავლო პროცესში მულტიმედიური საშუალებების ჩართვას, შესაბამისად, ამ ტექნოლოგიებისა და ტექნიკების ათვისება ხდება სასწავლო კურსების სასემინარო და პრაქტიკულ მეცადინეობებზე.

- სტუდენტთა დასაქმების ბაზრის გაფართოების მიზნით, სასურველი იქნებოდა, თუ კი მათ რეკომენდაცია მიეცემოდათ, რომ დამატებითი (minor) პროგრამის ფარგლებში შეარჩიონ არა მარტო დამატებითი პროგრამა *მასწავლებლის მომზადება* (60 კრედიტი) არამედ დამატებითი პროგრამები უნივერსიტეტში მომქმედი სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან (მაგ., *ტურიზმი*, *ბიზნესისა და მენეჯმენტის სფეროდან* და სხვ.)

- წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში არსებობს დამატებითი პროგრამა (minor), თუმცა სასურველი იქნებოდა, თუკი დამატებითი პროგრამის ბლოკი იმუშვებდა ძირითადი პროგრამის (major) თანმხვედრ რეჟიმში;

- წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში სასურველი იქნებოდა, თუ სტუდენტს შესაძლებლობა მიეცემოდა მინიმუმ 10 კრედიტის ფარგლებში თავისუფალი არჩევანის საფუძველზე შეერჩია სასწავლო დისციპლინა მისთვის სასურველი ნებისმიერი სხვა საუნივერსიტეტო პროგრამიდან, რაც პროგრამის ფარდობითად ღიაობის დასტური იქნებოდა ჰორიზონტალური პრინციპით;

- სასურველია სტუდენტი ინდივიდუალურად ეცნობოდეს საკუთარი აკადემიური მოსწრების შედეგებს, ამოქმედდეს სააპელაციო სისტემა, რაც დამატებითი მექანიზმია სტუდენტის ობიექტურად შეფასებისათვის;

- მიზანშეწონილია აკადემიური პერსონალის აქტივობა სასწავლო პროცესში, რაც გულისხმობს სტუდენტებთან ინდივიდუალურ მუშაობას პროგრამის ფარგლებში, აგრეთვე აისახოს ცალკეულ სილაბუსში;

- სასურველი იქნებოდა, თუ გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტისათვის გერმანული აკადემიური და საგრანტო ფონდების, პარტნიორი უნივერსიტეტებისა და საუნივერსიტეტო კოოპერაციის საფუძველზე მოიძიებოდა დამატებითი მატერიალური რესურსი, რათა მოეწყოს მულტიმედიითა და სხვა ტექნიკური საშუალებები ადჭურვილი სასწავლო კაბინეტი;

- რეკომენდირებულია, დარგობრივი ბიბლიოთეკის ფონდი სემესტრულად უნდა შეივსოს ცალკეული დისციპლინების რიდერებით, რომელიც გულისხმობს იმ სასწავლო თუ სამეცნიერო მასალებს, რაც ინახება დეპარტამენტის პროფესორის პირად ბიბლიოთეკებში და მნიშვნელოვანია ცალკეული დარგობრივი კომპეტენციის სრულყოფისათვის.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს და განმარტა, რომ პირველ სემესტრში გამართული იქნება სასწავლო მიმართულებები, ხოლო ინგლისურის, გერმანულის და რუსული ენების სწავლების მოტივი იყო სტუდენტისატვის ფაკულტეტზე სწავლის შემდგომი საჭიროებების განსაზღვრა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ენობრივი კომპეტენციების შესწავლა სტუდენტს არ წარმოშობს ფილოლოგიის სწავლისათვის აუცილებელ უნარებს, უფრო მიზანშეწონილია ფილოლოგიის შესწავლის შესწავლა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიენიჭოს აკრედიტაცია.

28. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ბექან ჯავახია (თავმჯდომარე), ნინო ქიმერიძე, თამარ ჩოკორაია, ეკატერინე გიგაშვილი, ანა ბუჩუკური.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ანა ბუჩუკურმა. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- საბაკალავრო პროგრამაში სპეციალობის კომპეტენციისათვის სავალდებულო საგნების კრედიტების რაოდენობა სცილდება 150 კრედიტს. მიზანშეწონილია, რომ ეს რაოდენობა შემცირდეს და რამდენიმე საგანი გადატანილ იქნას არჩევით კურსებში.
- საგნები ქართული ენა 1 და ქართული ენა 2, ასევე ქართული ლიტერატურის ისტორია 1 და 2 არ უნდა იყოს სავალდებულო საგანი ამ პროგრამის სტუდენტებისათვის. ეს საგნები სტუდენტებს შეუძლიათ აიღონ ქართული ლიტერატურის პროგრამიდან. მიზანშეწონილი არ არის, რომ ერთი და იგივე საგანი სხვადასხვა პროგრამებში იკითხებოდეს ცალცალკე.
- რეკომენდირებულია, სასწავლო კურსები „თურქული ენის ლექსიკა და კონვერსაცია“ და „თურქული ენის გრამატიკა“ წარმოდგენილ იქნას ერთი დისციპლინის სახით, როგორც პრაქტიკული კურსი თურქულ ენაში.
- მიზანშეწონილია, წარმოდგენილი იყოს შესავალი საგანი თურქულ ფილოლოგიაში, რომელიც შეტანილი იქნებოდა საფაკულტეტო საგნებში არჩევითი საგნის სახით, რას შესაძლებლობასაც მოსცემდა კულტურის ისტორიის, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ფსიქოლოგიის კურსებისათვის სტატუსის შეცვლის, ან მათი საფაკულტეტო სავალდებულო საგნებიდან ამოღებისათვის.
- მიზანშეწონილია, მაინორის პროგრამაში მოცემული საგნები წაკითხულ იქნას ძირითადი პროგრამის საგნებთან ერთად, რაც, რასაკვირველია, გამოიწვევდა მცირე კორექტურას ამ პროგრამაში.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს.

სხდომაზე დაისვა შეკითხვა, რამდენად მოთხოვნადი იყო ეს პროგრამა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თურქული ფილოლოგიის პროგრამა ერთ-ერთი პრიორიტეტულია,

პარალელურად უნივერსიტეტში მოქმედებს თურქეთის მცოდნეობის პროგრამა, დაწესებულება თანამშრომლობს თურქეთის საკონსულოსთან ბათუმში, უზრუნველყოფს გაცვლით პროგრამებს და სხვა პროექტებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

29. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ბექან ჯავახია (თავმჯდომარე), ნინო ქიმერიძე, თამარ ჩოკორაია, ეკატერინე გიგაშვილი, ანა ბუჩუკური.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ანა ბუჩუკურმა. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა ექსპერტთა დასკვნაში მოცემულია შემდეგი რეკომენდაციები:

- სასურველი იქნებოდა, თუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის კურიკულუმებში წარმოდგენილი იქნებოდა ყველა დარგობრივი მიმართულების შესავალი კურსები, რათა სტუდენტმა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე არჩევანი შეაჩეროს მისთვის მისაღებ სპეციალობაზე;
- ვინაიდან სტუდენტი პროგრამის მიხედვით პირველივე სემესტრში ირჩევს დარგობრივი ფილოლოგიის კონკრეტული ენის პრაქტიკულ კურსს, ცალსახად ამ შემთხვევაში სტუდენტს შეზღუდული აქვს თავისუფალი არჩევანის საშუალება. თუ პროგრამაში წინმსწრებად სტუდენტი გადის შესავალის კურსს, მისთვის მარტივია შემდგომ ეტაპზე მეტი დამაჯერებლობით მიიღოს გადაწყვეტილება და სასწავლო ეტაპები შეივსოს როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული დისციპლინათა შესაბამისი კურსების სათანადო კომბინაციებით;
- ფილოლოგიური კომპეტენციების მკვეთრად ჩამოყალიბების მიზნით სასურველი იქნებოდა, თუ ფაკულტეტის ფილოლოგიური პროგრამები მკაფიოდ განსაზღვრავდნენ ფილოლოგიისათვის სავალდებულო საგანთა ბლოკს (მაგ. წარმოდგენდნენ ლიტერატურის ისტორიის ზოგადდარგობრივი კურსების ჩამონათვალს, რომელთაგანაც თავად სტუდენტი გამომდინარე საკუთარი ინტერესებიდან შეარჩევდა რომელიმეს. ამავე ბლოკში სასურველი იქნებოდა ასევე თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის კურსების (კონკრეტული ენების გათვალისწინებით) წარმოდგენა და ა.შ.);
- მიზანშეწონილია საფაკულტეტო სასწავლო დისციპლინებიდან *დასავლეთ ევროპული და ამერიკული ლიტერატურის ისტორიის* (10 კრედიტი) კურსს მიენიჭოს არჩევითის სტატუსი და ჩაჯდეს ფილოლოგიის კომპეტენციისათვის სავალდებულო დისციპლინათა ბლოკში. ამ ცვლილების შემთხვევაში პროგრამა გახდებოდა უფრო მოქნილი და სტუდენტს საშუალება მიეცემოდა ფართო არჩევანი გაეკეთებინა სასწავლო პროგრამის დაგეგმვის პროცესში;
- ასევე სასურველია, საუნივერსიტეტო კურსი, რომელიც *საინფორმაციო ტექნოლოგიების* შესწავლას ითვალისწინებს, არ შემოიფარგლოს აუცილებელი და ელემენტარული სასწავლო თემებით და, შესაბამისად, შეივსოს სათანადო მასალით, ვინაიდან უკანასკნელ ხანებში სასკოლო პროგრამები და საგამოცდო (აბიტური) სისტემა უკვე გულისხმობს საინფორმაციო ტექნოლოგიების ელემენტარული

უნარ-ჩვევების ფლობას. გარდა ამისა უცხო ენების ფილოლოგიების სასწავლო პროგრამების შინაარსი თავისთავად გულისხმობს სასწავლო პროცესში მულტიმედიური საშუალებების ჩართვას, შესაბამისად, ამ ტექნოლოგიებისა და ტექნიკების ათვისება ხდება სასწავლო კურსების სასემინარო და პრაქტიკულ მეცადინეობებზე.

- სტუდენტთა დასაქმების ბაზრის გაფართოების მიზნით, სასურველი იქნებოდა, რომ დამატებითი (minor) პროგრამის ფარგლებში შეარჩიონ არა მარტო დამატებითი პროგრამა *მასწავლებლის მომზადება* (60 კრედიტი) არამედ დამატებითი პროგრამები უნივერსიტეტში მოქმედი სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან (მაგ., *ტურიზმის, ბიზნესისა და მენეჯმენტის სფეროდან* და სხვ.)
- წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში არსებობს დამატებითი პროგრამა (minor), თუმცა მიზანშეწონილია, რომ დამატებითი პროგრამის ბლოკი მუშაობდეს ძირითადი პროგრამის (major) თანმხვედრ რეჟიმში;
- წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში სასურველი იქნებოდა, თუ სტუდენტს შესაძლებლობა მიეცემოდა მინიმუმ 10 კრედიტის ფარგლებში თავისუფალი არჩევანის საფუძველზე შეერჩია სასწავლო დისციპლინა მისთვის სასურველი ნებისმიერი სხვა საუნივერსიტეტო პროგრამიდან, რაც პროგრამის ფარდობითად ღიაობის დასტური იქნებოდა ჰორიზონტალური პრინციპით;
- სასურველია სტუდენტი ინდივიდუალურად ეცნობოდეს საკუთარი აკადემიური მოსწრების შედეგებს, ამოქმედდეს სააპელაციო სისტემა, რაც დამატებითი მექანიზმია სტუდენტის ობიექტურად შეფასებისათვის;
- მიზანშეწონილია, რომ აკადემიური პერსონალის აქტივობა სასწავლო პროცესში, რაც გულისხმობს სტუდენტებთან ინდივიდუალურ მუშაობს პროგრამის ფარგლებში, აგრეთვე აისახოს ცალკეულ სილაბუსში;
- დარგობრივი ბიბლიოთეკის ფონდი სემესტრულად უნდა შეივსოს ცალკეული დისციპლინების რიდერებით, რომელიც გულისხმობს იმ სასწავლო თუ სამეცნიერო მასალებს, რაც იწახება დეპარტამენტის პროფესორის პირად ბიბლიოთეკებში და მნიშვნელოვანია ცალკეული დარგობრივი კომპეტენციის სრულყოფისათვის. კონკრეტული საგნობრივი რიდერი შეივსება, განახლდება და წარმოდგენილი იქნება გამდიდრებული სახით საგნის გამოცხადებისთანავე დეპარტამენტის სემესტრულ აპარატში და თავისთავად, ხელმისაწვდომი იქნება თითოეული სტუდენტისათვის;

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს და განმარტა, რომ პირველ სემესტრში გამართული იქნება სასწავლო მიმართულებები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

30. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ბეჟან ჯავახია (თავმჯდომარე), ნინო ქიმერიძე, თამარ ჩოკორაია, ეკატერინე გიგაშვილი, ანა ბუჩუკური.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ანა ბუჩუკურმა. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა ექსპერტთა დასკვნაში მოცემულია შემდეგი რეკომენდაციები:

- უმჯობესი იქნება ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროგრამებში (ამ შემთხვევაში რუსული ფილოლოგია) წარმოდგენილი იყოს ყველა დარგობრივი მიმართულების შესავალი კურსი, რათა სტუდენტმა არჩევანი შეაჩეროს მისთვის მისაღებ სპეციალობაზე;
- ფილოლოგიური კომპეტენციების მკვეთრად ჩამოყალიბების მიზნით, სასურველი იქნებოდა, თუ ფაკულტეტის ფილოლოგიური პროგრამები მკაფიოდ განსაზღვრავდნენ ფილოლოგისათვის სავალდებულო საგანთა ბლოკს (მაგ., წარმოდგენდნენ ლიტერატურის ისტორიის ზოგადდარგობრივი კურსების ჩამონათვალს, რომელთაგანაც თავად სტუდენტი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე შეარჩევდა რომელიმეს).
- სტუდენტთა დასაქმების ბაზრის გაფართოების მიზნით, სასურველი იქნებოდა, თუ კი მათ რეკომენდაცია მიეცემოდათ, რომ დამატებითი (minor) პროგრამის ფარგლებში შეარჩიონ არა მარტო დამატებითი პროგრამა *მასწავლებლის მომზადება* (60 კრედიტი), არამედ დამატებითი პროგრამები უნივერსიტეტში მომქმედი სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან (მაგ., *ტურიზმი, ბიზნესისა და მენეჯმენტის სფეროდან* და სხვ.)
- სასურველი იქნებოდა, თუ სტუდენტს შესაძლებლობა მიეცემოდა მინიმუმ 10 კრედიტის ფარგლებში, თავისუფალი არჩევანის საფუძველზე, შეერჩია სასწავლო დისციპლინა მისთვის სასურველი ნებისმიერი სხვა საუნივერსიტეტო პროგრამიდან.
- მიზანშეწონილია, რომ აკადემიური პერსონალის აქტივობა (საკონსულტაციო საათები) აისახოს სილაბუსში;
- სასარგებლო იქნებოდა დარგობრივი ბიბლიოთეკის ფონდი სემესტრულად შეივსოს ცალკეული დისციპლინების რიდერებით, რაც გულისხმობს იმ სასწავლო თუ სამეცნიერო მასალებს, რაც ინახება დეპარტამენტის პროფესორის პირად ბიბლიოთეკებში და მნიშვნელოვანია ცალკეული დარგობრივი კომპეტენციის სრულყოფისათვის. კონკრეტული საგნობრივი რიდერი შეივსება, განახლდება და წარმოდგენილი იქნება გამდიდრებული სახით საგნის გამოცხადებისთანავე დეპარტამენტის სემესტრულ აპარატში და ხელმისაწვდომი იქნება თითოეული სტუდენტისათვის;
- სასურველია ცალკეული კურსების გაერთიანება (ზოგიერთი მათგანი ზედმეტად დაწვრილმანებულია დარგობრივად. მაგალითად, (რუსული ენის პრაქტიკული კურსი 1, 2, 3 და ა.შ

შესაძლებელია გაერთიანებულ კურსად იქნას წაკითხული). გარდა ამისა, მიზანშეწონილი იქნებოდა თეორიული სალექციო კურსების შეჯერება პრაქტიკულ კურსებთან, რაც გულისხმობს ზოგიერთი პრაქტიკული კურსის კომბინაციას ამავე მიმართულების თეორიულ კურსთან, რათა (თეორია სასწავლო პროცესში გამდიდრდეს პრაქტიკული მეცადინეობით) საგნის ფორმატის გათვალა მოხდეს სტუდენტის ცოდნის შედეგებზე აქცენტირებით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

31. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ბეჟან ჯავახია (თავმჯდომარე), ნინო ქიმერიძე, თამარ ჩოკორაია, ეკატერინე გიგაშვილი, ანა ბუჩუკური.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ანა ბუჩუკურმა. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა ექსპერტთა დასკვნაში მოცემულია შემდეგი რეკომენდაციები:

- სასურველი იქნებოდა, თუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის კურიკულუმებში წარმოდგენილი იქნებოდა ყველა დარგობრივი მიმართულების შესავალი კურსები, რათა სტუდენტმა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე არჩევანი შეაჩეროს მისთვის მისაღებ სპეციალობაზე;
- ვინაიდან სტუდენტი პროგრამის მიხედვით პირველივე სემესტრში ირჩევს დარგობრივი ფილოლოგიის კონკრეტული ენის პრაქტიკულ კურსს, ცალსახად ამ შემთხვევაში სტუდენტს შეზღუდული აქვს თავისუფალი არჩევანის საშუალება. თუ პროგრამაში წინმსწრებად სტუდენტი გადის შესავალის კურსს, მისთვის მარტივია შემდგომ ეტაპზე მეტი დამაჯერებლობით მიიღოს გადაწყვეტილება და სასწავლო ეტაპები შეივსოს როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული დისციპლინათა შესაბამისი კურსების სათანადო კომბინაციებით;
- ფილოლოგიური კომპეტენციების მკვეთრად ჩამოყალიბების მიზნით სასურველი იქნებოდა, თუ ფაკულტეტის ფილოლოგიური პროგრამები მკაფიოდ განსაზღვრავდნენ ფილოლოგიისათვის სავალდებულო საგანთა ბლოკს (მაგ., წარმოდგენდნენ ლიტერატურის ისტორიის ზოგადდარგობრივი კურსების ჩამონათვალს, რომელთაგანაც თავად სტუდენტი გამომდინარე საკუთარი ინტერესებიდან შეარჩევდა რომელიმეს. ამავე ბლოკში სასურველი იქნებოდა ასევე თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის კურსების (კონკრეტული ენების გათვალისწინებით) წარმოდგენა და ა.შ.);
- მიზანშეწონილია საფაკულტეტო სასწავლო დისციპლინებიდან *დასავლეთ ევროპული და ამერიკული ლიტერატურის ისტორიის* (10 კრედიტი) კურსს მიენიჭოს არჩევითის სტატუსი და იგი ჩაჯდეს ფილოლოგიის კომპეტენციისათვის სავალდებულო დისციპლინათა ბლოკში. ამ ცვლილების შემთხვევაში პროგრამა გახდებოდა უფრო მოქნილი და სტუდენტს საშუალება მიეცემოდა ფართო არჩევანი გაეკეთებინა სასწავლო პროგრამის დაგეგმვის პროცესში;
- ასევე სასურველია, საუნივერსიტეტო კურსი, რომელიც *საინფორმაციო ტექნოლოგიების* შესწავლას ითვალისწინებს, არ შემოიფარგლოს აუცილებელი და ელემენტარული სასწავლო თემებით და შესაბამისად, შეივსოს სათანადო მასალით, ვინაიდან უკანასკნელ ხანებში სასკოლო პროგრამები და საგამოცდო (აბიტური) სისტემა უკვე გულისხმობს საინფორმაციო ტექნოლოგიების ელემენტარული

უნარ-ჩვევების ფლობას. გარდა ამისა უცხო ენების ფილოლოგიების სასწავლო პროგრამების შინაარსი თავისთავად გულისხმობს სასწავლო პროცესში მულტიმედიური საშუალებების ჩართვას, შესაბამისად, ამ ტექნოლოგიებისა და ტექნიკების ათვისება ხდება სასწავლო კურსების სასემინარო და პრაქტიკულ მეცადინეობებზე.

- სტუდენტთა დასაქმების ბაზრის გაფართოების მიზნით, სასურველია, რომ დამატებითი (minor) პროგრამის ფარგლებში შეარჩიონ არა მარტო დამატებითი პროგრამა *მასწავლებლის მომზადება* (60 კრედიტი) არამედ დამატებითი პროგრამები უნივერსიტეტში მოქმედი სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან (მაგ., *ტურიზმი*, *ბიზნესისა და მენეჯმენტის სფეროდან* და სხვ.)
- წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში არსებობს დამატებითი პროგრამა (minor), თუმცა მიზანშეწონილია, დამატებითი პროგრამის ბლოკმა იმუშაოს ძირითადი პროგრამის (major) თანმხვედრ რეჟიმში;
- წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში სასურველი იქნებოდა, თუ სტუდენტს შესაძლებლობა მიეცემოდა მინიმუმ 10 კრედიტის ფარგლებში თავისუფალი არჩევანის საფუძველზე შეერჩია სასწავლო დისციპლინა მისთვის სასურველი ნებისმიერი სხვა საუნივერსიტეტო პროგრამიდან, რაც პროგრამის ფარდობითად ღიაობის დასტური იქნებოდა ჰორიზონტალური პრინციპით;
- სასურველია სტუდენტი ინდივიდუალურად ეცნობოდეს საკუთარი აკადემიური მოსწრების შედეგებს, ამოქმედდეს სააპელაციო სისტემა, რაც დამატებითი მექანიზმია სტუდენტის ობიექტურად შეფასებისათვის;
- მიზანშეწონილია, რომ აკადემიური პერსონალის აქტივობა სასწავლო პროცესში, რომელიც გულისხმობს სტუდენტებთან ინდივიდუალურ მუშაობას პროგრამის ფარგლებში, აგრეთვე აისახოს ცალკეულ სილაბუსში;
- დარგობრივი ბიბლიოთეკის ფონდი სემესტრულად უნდა შეივსოს ცალკეული დისციპლინების რიდერებით, რომელიც გულისხმობს იმ სასწავლო თუ სამეცნიერო მასალებს, რაც ინახება დეპარტამენტის პროფესორის პირად ბიბლიოთეკებში და მნიშვნელოვანია ცალკეული დარგობრივი კომპეტენციის სრულყოფისათვის. კონკრეტული საგნობრივი რიდერი შეივსება, განახლდება და წარმოდგენილი იქნება გამდიდრებული სახით საგნის გამოცხადებისთანავე დეპარტამენტის სემესტრულ აპარატში და თავისთავად, ხელმისაწვდომი იქნება თითოეული სტუდენტისათვის;

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

32. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ბექან ჯავახია (თავმჯდომარე), ნინო ქიმერიძე, თამარ ჩოკორაია, ეკატერინე გიგაშვილი, ანა ბუჩუკური.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ანა ბუჩუკურმა. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა ექსპერტთა დასკვნაში მოცემულია შემდეგი რეკომენდაციები:

- უმჯობესი იქნება ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროგრამებში (ამ შემთხვევაში ქართული ფილოლოგია) წარმოდგენილი იყოს ყველა დარგობრივი მიმართულების შესავალი კურსი, რათა სტუდენტმა არჩევანი შეაჩეროს მისთვის მისაღებ სპეციალობაზე;
- ფილოლოგიური კომპეტენციების მკვეთრად ჩამოყალიბების მიზნით, სასურველი იქნებოდა, თუ ფაკულტეტის ფილოლოგიური პროგრამები მკაფიოდ განსაზღვრავდნენ ფილოლოგისათვის სავალდებულო საგანთა ბლოკს (მაგ., წარმოდგენდნენ ლიტერატურის ისტორიის ზოგადდარგობრივი კურსების ჩამონათვალს, რომელთაგანაც თავად სტუდენტი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე შეარჩევდა რომელიმეს).
- სტუდენტთა დასაქმების ბაზრის გაფართოების მიზნით, სასურველი იქნებოდა, თუ კი მათ რეკომენდაცია მიეცემოდათ, რომ დამატებითი (minor) პროგრამის ფარგლებში შეარჩიონ არა მარტო დამატებითი პროგრამა *მასწავლებლის მომზადება* (60 კრედიტი), არამედ დამატებითი პროგრამები უნივერსიტეტში მომქმედი სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან (მაგ., *ევროპული ენების ფილოლოგიები (რაც ხელს შეუწყობს სტუდენტის დასაქმებას მთარგმნელობით სფეროში)*, *ტურიზმი, ბიზნესისა და მენეჯმენტის სფეროდან* და სხვ.)
- სასურველი იქნებოდა არჩევით კურსად ქართულ ენაში პრაქტიკული კურსის დამატება სტილისტიკისა და ტექსტის რედაქტირების სახით. (საგამომცემლო ბაზარზე კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით).
- სასურველი იქნებოდა, თუ სტუდენტს შესაძლებლობა მიეცემოდა მინიმუმ 10 კრედიტის ფარგლებში, თავისუფალი არჩევანის საფუძველზე, შეერჩია სასწავლო დისციპლინა მისთვის სასურველი ნებისმიერი სხვა საუნივერსიტეტო პროგრამიდან.
- მიზანშეწონილია, რომ აკადემიური პერსონალის აქტივობა (საკონსულტაციო საათები) აისახოს სილაბუსში;
- სასარგებლო იქნებოდა დარგობრივი ბიბლიოთეკის ფონდი სემესტრულად შეივსოს ცალკეული დისციპლინების რიდერებით, რაც გულისხმობს იმ სასწავლო თუ სამეცნიერო მასალებს, რაც ინახება დეპარტამენტის პროფესორის პირად ბიბლიოთეკებში და მნიშვნელოვანია ცალკეული დარგობრივი კომპეტენციის სრულყოფისათვის. კონკრეტული საგნობრივი რიდერი შეივსება,

განახლება და წარმოდგენილი იქნება გამდიდრებული სახით საგნის გამოცხადებისთანავე დეპარტამენტის სემესტრულ აპარატში და ხელმისაწვდომი იქნება თითოეული სტუდენტისათვის;

- ქართველოლოგიის დარგის ინტერნაციონალიზაციის გაზრდის მიზნით, უმჯობესი იქნებოდა ცალკეულ სასწავლო კურსებში უცხოენოვანი ლიტერატურის ორიგინალში გაცნობა, რაც აგრეთვე უნდა აისახოს სილაბუსებში. (მაგალითად, ლიტერატურის თეორიაში);

- სასურველია ცალკეული კურსების გაერთიანება (ზოგიერთი მათგანი ზედმეტად დაწვრილმანებულია დარგობრივად. მაგალითად, მარტივი წინადადების სინტაქსი (ახალი ქართული ენა 4), რთული წინადადების სინტაქსი (ახალი ქართული ენა 5) და ა.შ. შესაძლებელია გაერთიანებულ კურსად იქნას წაკითხული). გარდა ამისა, მიზანშეწონილი იქნებოდა თეორიული სალექციო კურსების შეჯერება პრაქტიკულ კურსებთან, რაც გულისხმობს ზოგიერთი პრაქტიკული კურსის კომბინაციას ამავე მიმართულების თეორიულ კურსთან, რათა (თეორია სასწავლო პროცესში გამდიდრდეს პრაქტიკული მეცადინეობით) საგნის ფორმატის გათვლა მოხდეს სტუდენტის ცოდნის შედეგებზე აქცენტირებით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

33. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწესებითი განათლების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ბექან ჯავახია (თავმჯდომარე), ნინო ქიმერიძე, თამარ ჩოკორაია, ეკატერინე გიგაშვილი, ანა ბუჩუკური.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ანა ბუჩუკურმა. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაცია:

- საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ თუ სტუდენტს გადაწყვეტილი აქვს ასწავლოს კონკრეტული საგანი I-VI კლასებში, 15 კრედიტის ფარგლებში არჩევით საგანს სწავლობს. მიზანშეწონილია გაიზარდოს სტუდენტის არჩევანის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწესებითი განათლების საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწესებითი განათლების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

34. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დანტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ბექან ჯავახია (თავმჯდომარე), ნინო ქიმერიძე, თამარ ჩოკორაია, ეკატერინე გიგაშვილი, ანა ბუჩუკური.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ანა ბუჩუკურმა. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაცია:

- სასწავლო კურსების შინაარსში სასწავლო თემები ზოგიერთ შემთხვევაში ფარავს ერთმანეთს. მიზანშეწონილია დაიხვეწოს სასწავლო კურსების თემატიკა, რათა მინიმუმამდე შემცირდეს თემების გადაფარვის შემთხვევები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იზიარებდა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

35. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების (აზერბაიჯანულენოვანთათვის/სომხურენოვანთათვის) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დანტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ბეჟან ჯავახია (თავმჯდომარე), ნინო ქიმერიძე, თამარ ჩოკორაია, ეკატერინე გიგაშვილი, ანა ბუჩუკური.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ანა ბუჩუკურმა. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- პროგრამაში შემავალ სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულია ძირითად ლიტერატურაში მხოლოდ ავტორთა „რიდერები“ და აუდიოკასეტები, სასურველია არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეივსოს ლიტერატურა, რომელიც უზრუნველყოფს ქართულის, როგორც მეორე ენის შესწავლას;

- პროგრამით გათვალისწინებული ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლის შედეგების რუკაში ღირებულებები მიიღწევა მხოლოდ ერთი სასწავლო კურსის-ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები-ს ფარგლებში, მიზანშეწონილია სხვა სასწავლო კურსების ფარგლებშიც მოხდეს როგორც ზოგადი კომპეტენციების დონეზე პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან თავისი და სხვათა დამოკიდებულების შეფასება და სხვებისთვის გაზიარება, ასევე დარგობრივი კომპეტენციების დონეზე ქართული საზოგადოების ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნებისა და როგორც ეროვნული, ისე ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და ფასეულობების პატივისცემის მიღწევა;

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების (აზერბაიჯანულენოვანთათვის /სომხურენოვანთათვის) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების (აზერბაიჯანულენოვანთათვის /სომხურენოვანთათვის) საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

36. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტომატოლოგის (ერთსაფეხურიანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დანტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ნატო ალავიძე (თავმჯდომარე), ირინე ფხაკაძე, ლიკა გორგაძე.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაცია:

- სასურველია გამარტივდეს და ამასთან, დაკონკრეტდეს შეფასების სისტემა (მაგ. ზეპირი შეფასების კომპონენტში), იმისათვის, რომ ქულების დაგროვების წესი სტუდენტებისათვის გახდეს უფრო გამჭვირვალე).

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტომატოლოგის (ერთსაფეხურიანი) პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტომატოლოგის (ერთსაფეხურიან) პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

37. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: მარიამ გერსამია (თავმჯდომარე), ხათუნა ამალაშვილი, თამარ შუდრა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებულ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით სტუდენტებს უზრუნველყოფს დაწესებულების ბიბლიოთეკა, თუმცა სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სახელმძღვანელოების უფრო ფართო არჩევანი. სასურველია სტუდენტები მეტად იყვნენ ინფორმირებულები დაწესებულების ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსებით.
- სასწავლო კურსების მოდულარული სისტემით ფორმირების პირობებში, სასურველი იქნება პროგრამაში გაიწეროს კონკრეტული მოდულის მიზნები და შედეგები.
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეხუთე აღმწერით („კომუნიკაციის უნარი“) განსაზღვრული სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია 240 კრედიტის ფარგლებში უცხო ენის (განსაკუთრებით ინგლისური ენის) სწავლებისთვის შეთავაზებული კრედიტების რაოდენობა გაიზარდოს B2 დონის მიღწევის მიზნით.
- სასურველია, 240 კრედიტის ფარგლებში არჩევით საგნებს დაეთმოს მეტი კრედიტი, აგრეთვე სტუდენტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში განხილულ იქნას ამა თუ იმ მოდულში დამატებითი კურსების არჩევის შესაძლებლობა.
- სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშავოს სოციოლოგიაში დამატებითი (minor) პროგრამა. აგრეთვე, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში განისაზღვროს სტუდენტის მიერ დამატებითი (minor) პროგრამის არჩევის წესი და პროცედურა.
- უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულია საპილოტე კვლევა დამსაქმებელთა მოთხოვნების (ატრიატულების) გამოსავლენად. მიზანშეწონილია პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მექანიზმების შემდგომი დახვეწა - განვითარება.
- მიზანშეწონილია დაწესებულებაში არსებული ტუტორის ინსტიტუტის გააქტიურება და ამის შესახებ სტუდენტების უფრო მეტად ინფორმირება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს, ამასთან, მან აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა პროგრამაზე არ განხორციელებულა, ვინაიდან აღნიშნული პროგრამა, მეორე წელია, რაც ხორციელდება უნივერსიტეტში და შესაბამისად, კურსდამთავრებულებიც არ ჰყავს. ამასთან, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების მონაწილეობით ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანიც იყო დამსაქმებლების მოლოდინების განსაზღვრა.

სხდომაზე დაისვა შეკითხვა, სახელმძღვანელოთა ფართო არჩევანთან დაკავშირებით. აკრედიტაციის ექსპერტმა, მარიამ გერსამიამ, აღნიშნა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ყველა სტუდენტს სილაბუსით გათვალისწინებული სასწავლო მასალით, თუმცა სტუდენტებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ამის გამო, ისინი ნაკლებად ეძებენ სასწავლო მასალებს დამოუკიდებლად. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია, დაწესებულების მისამართით არ უნდა გაკეთდეს, ვინაიდან, დაწესებულება ასრულებს თავის ფუნქციას სტუდენტის სასწავლო მასალით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

38. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: მარიამ გერსამია (თავმჯდომარე), ხათუნა ამალაშვილი, თამარ შუდრა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებულ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით სტუდენტებს უზრუნველყოფს დაწესებულების ბიბლიოთეკა, თუმცა სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სტუდენტებისათვის სახელმძღვანელოების კიდევ უფრო ფართო არჩევანი. სასურველია სტუდენტები მეტად იყვნენ ინფორმირებულები დაწესებულების ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული აკადემიური რესურსებით.

- სასწავლო კურსების მოდულარული სისტემით ფორმირების პირობებში, სასურველი იქნება პროგრამაში გაიწეროს კონკრეტული მოდულის მიზნები და შედეგები.

- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეხუთე აღმწერით („კომუნიკაციის უნარი“) განსაზღვრული სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია 240 კრედიტის ფარგლებში უცხო ენის (განსაკუთრებით ინგლისური ენის) სწავლებისთვის შეთავაზებული კრედიტების რაოდენობა გაიზარდოს B2 დონის მიღწევის მიზნით.

- საგანმანათლებლო პროგრამაში ერთ-ერთი სასწავლო კურსის ფარგლებში გამოიყენება სწავლების მეთოდი - „პრესკონფერენციის მოდელირება“. სწავლის შედეგების გაუმჯობესებისა და სტუდენტების შეფასების გამჭვირვალობის მიზნით, სასურველია პროცესის მიმდინარეობა ჩაიწეროს ვიდეო ფორმატში, ხოლო შემდგომ მოხდეს პრესკონფერენციის შემადგენელი კომპონენტების (დასმული შეკითხვების, დისკუსიის პროვოცირების და ა.შ) სტუდენტებთან ერთად განხილვა.

- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეორე აღმწერით („ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი“) განსაზღვრული სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია 240 კრედიტის ფარგლებში პრაქტიკის სწავლებისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა გაიზარდოს. აგრეთვე, უფრო მეტ სტუდენტს მიეცეს შესაძლებლობა ისარგებლოს დაწესებულებაში არსებული შემოქმედებითი სახელოსნოს მიერ შემოთავაზებული პრაქტიკული კურსებით.

- სასურველია, 240 კრედიტის ფარგლებში არჩევით საგნებს დაეთმოს მეტი კრედიტი, აგრეთვე, სტუდენტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში განხილულ იქნას ამა თუ იმ მოდულში დამატებითი კურსების არჩევის შესაძლებლობა.
- სასურველია არჩევითი საგნების კონცენტრაცია და/ან დამატებითი სპეციალობის შეთავაზება მოხდეს უნივერსიტეტში არსებული სხვადასხვა დარგების/სპეციალობების მიხედვით.
- სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშავოს დამატებითი (minor) პროგრამები სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიაში, რომელსაც სურვილის შემთხვევაში აირჩევენ ჟურნალისტიკის და მასკომუნიკაციის პროგრამაში ჩართული სტუდენტები. აგრეთვე, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში განისაზღოს სტუდენტის მიერ დამატებითი (minor) პროგრამის არჩევის წესი და პროცედურა.
- უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულია საპილოტე კვლევა დამსაქმებელთა მოთხოვნების (ატიტუდების) გამოსავლენად. მიზანშეწონილია პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მექანიზმების შემდგომი დახვეწა - განვითარება.
- მიზანშეწონილია დაწესებულებაში არსებული ტუტორის ინსტიტუტის გააქტიურება და ამის შესახებ სტუდენტების მეტი ინფორმირება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. დანერგილი იქნება სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ვიდეო ფორმატში ჩაწერისა და სტუდენტებთან ერთად მისი შეცდომების განხილვის ფორმატში სწავლება.

საბჭოზე დაისვა შეკითხვა შემოქმედებითი სახელოსნოს მუშაობისა და მასში სტუდენტების ჩართულობასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ორი შემოქმედებითი სახელოსნო - ბეჭდური მედიისა და სატელევიზიო. საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, სტუდენტები ჩართული არიან აღნიშნულ სახელოსნოებში მუშაობის პროცესში. აკრედიტაციის ექსპერტმა, მარიამ გერსამიამ აღნიშნა, რომ შესაძლებლობის ფარგლებში, კარგი იქნებოდა, თუკი ეს სახელოსნო გაფართოვდება და მეტ სტუდენტს მიეცემა შესაძლებლობა გაიაროს სახელოსნოში პრაქტიკა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ

ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

39. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: მარიამ გერსამია (თავმჯდომარე), ხათუნა ამაღლობელი, თამარ შუდრა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებულ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით სტუდენტებს უზრუნველყოფს დაწესებულების ბიბლიოთეკა, თუმცა სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით სასურველია სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სახელმძღვანელოების უფრო ფართო არჩევანი. სასურველია სტუდენტები მეტად იყვნენ ინფორმირებულები დაწესებულების ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული აკადემიური რესურსებით.
- სასწავლო კურსების მოდულარული სისტემით ფორმირების პირობებში, სასურველი იქნება პროგრამაში გაიწეროს კონკრეტული მოდულის მიზნები და შედეგები.
- სასურველია, 240 კრედიტის ფარგლებში არჩევით საგნებს დაეთმოს მეტი კრედიტი, აგრეთვე გაიზარდოს მოდულში შემავალი არჩევითი საგნების რაოდენობა და სტუდენტთა მოთხოვნებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში განხილულ იქნას ამა თუ იმ მოდულში დამატებითი კურსების არჩევის შესაძლებლობა.
- შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კონცენტრაციები უფრო მრავალფეროვანი გახდეს და კურსკულუმის ფარგლებში განვითარდეს რომელიმე კონკრეტული ქვემომართულება.
- სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშავოს დამატებითი (minor) პროგრამა ფსიქოლოგიაში. აგრეთვე, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში განისაზღვროს სტუდენტის მიერ დამატებითი (minor) პროგრამის არჩევის წესი და პროცედურა.
- უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულია საპილოტე კვლევა დამსაქმებელთა მოთხოვნების გამოსავლენად. მიზანშეწონილია პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მექანიზმების შემდგომი დახვეწა - განვითარება.
- მიზანშეწონილია დაწესებულებაში არსებული ტუტორის ინსტიტუტის გააქტიურება და ამის შესახებ სტუდენტების მეტად ინფორმირება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

40. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ტელერადიორეპორტიორის IV საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დანტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: მარიამ გერსამია (თავმჯდომარე), ხათუნა ამალღობელი, თამარ შუდრა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- იქიდან გამომდინარე, რომ წელს განხორციელდა პირველი მიღება პროგრამაზე, სასურველია უნივერსიტეტის მხრიდან განხორციელდეს გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების მონიტორინგი და კორექტირება.
- უნივერსიტეტის მიერ უკვე ჩატარებულია საპილოტე კვლევა დამსაქმებელთა მოთხოვნების (ატიტუდების) გამოსავლენად. მიზანშეწონილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უკვე დაიწყოს მომავალი კურსდამთავრებულების დასაქმების ეფექტური მექანიზმების განვითარება და მონიტორინგი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს.

საბჭოზე დაისვა შეკითხვა, პროგრამის მომავალი კურსდამთავრებულებისათვის დასაქმების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. აკრედიტაციის ექსპერტმა, მარიამ გერსამიამ აღნიშნა, რომ პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშაონ ტელევიზიებში და რადიოებში რეპორტიორებად. პროგრამით გათვალისწინებული ორი წელი საკმარისია სრულიად, რომ სტუდენტმა აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები შეიძინოს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ტელერადიორეპორტიორის IV საფეხურის პროფესიული პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ტელერადიორეპორტიორის IV საფეხურის პროფესიულ პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

41. შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის სამკურნალო საქმის (ერთსაფეხურიანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ნინო ჩიხლაძე (თავმჯდომარე), ნატო ალავეძე, ეკა ეკალაძე, ლიკა გიორგაძე.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია და აკრედიტაციის ექსპერტებს რეკომენდაციები არ აქვთ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის სამკურნალო საქმის (ერთსაფეხურიანი) პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის სამკურნალო საქმის (ერთსაფეხურიანი) პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

42. შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის სტომატოლოგიის (ერთსაფეხურიანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დანტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ნინო ჩიხლაძე (თავმჯდომარე), ნატო ალავიძე, ეკა ეკალაძე, ლიკა გიორგაძე.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს აქვს შემდეგი რეკომენდაციები:

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამას თან დაერთოს კომპეტენციების რუქა
- მართალია სასწავლო კურსების სილაბუსებში შედეგები სწორედ და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, მაგრამ ზოგიერთ სილაბუსში სწავლის შედეგების აღწერისათვის გამოიყენება ფორმები „უნდა ჰქონდეს“ „უნდა შეეძლოს“, რაც სასურველია, ჩასწორებულ იქნეს.
- სასურველია კლინიკური სასწავლო კურსების სილაბუსებში უფრო დეტალურად იყოს გაწერილი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამონათვალი (შედეგები) და შესაბამისად, უფრო მკაფიოდ იყოს აღწერილი მათი შეფასების სისტემა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებულ რეკომენდაციებს და განაცხადა, რომ ყველა რეკომენდაცია მისაღებია და დაწესებულება სიამოვნებით გაითვალისწინებს მათ. სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შედეგი ორიენტირებულია საშუალო მოსწრების სტუდენტზე. პროგრამის მიზანია, რომ სტუდენტს ჰქონდეს შესაბამისი კომპეტენციები, მაგრამ შეიძლება ვერ შეძლოს. ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე მოხდება პროგრამაში აღნიშნული ჩანაწერების სხვაგვარად ფორმულირება.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის სტომატოლოგიის (ერთსაფეხურიანი) პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის სტომატოლოგიის (ერთსაფეხურიანი) პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის დასრულების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომა დასრულდა 21:52 საათზე

ნინო ხოფერია
საბჭოს თავმჯდომარე

დომიტრი ალავეძე
საბჭოს მდივანი

